ლენინგრადი (“კრასნაია ზარია”) - ტფილისი (“დინამო”) 3:2

24 ოქტომბერს “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მორიგი შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე (“ა” ჯგუფში). თამაშობდნენ ტფილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “კრასნაია ზარიას” ფეხბურთელთა გუნდები.

შხაპუნა წვიმამ ვერ შეაჩერა მაყურებლების ლტოლვა სტადიონისაკენ. 4 საათისათვის სტადიონი სავსეა.

მოედანზე გამოსულ გუნდების შემადგენლობაში არიან - ლენინგრადი: ლახვინცევი, მედვედევი, ტოპტალოვი, ცვილიხი, ორეშკინი, ბადროვი, ლატკოვი, იარცევი, სმირნოვი, ივანოვი და გრიგორიევი. ტფილისი: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, მინაევი, ჯორბენაძე, სომოვი, ვ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი და პანინი.

თამაში დაიწყო ლენინგრადმა. ტფილისი სუსტ წინააღმდეგობას უწევს მათ შეტევას. ბურთი “დინამოს” საჯარიმო მოედანზეა. ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტის დროს (მე-5 წუთზე) ლენინგრადის მარცხენა ინსაიდი (თავდამსხმელი) იარცევი “დაბალ” ბურთს აგზავნის ტფილისის კარისაკენ. დოროხოვი ბურთის მომართულებას ვერ ხედავს (კარებთან მოგროვილ მოთამაშეების სიმრავლის გამო) - დაგვიანებული ნახტომი შედეგს არ იძლევა.

1:0 ლენინგრადის სასარგებოდ.

პირველი გამარჯვება ლენინგრადელებს მეტ ენერგიას მატებს. ტფილისელები კი უსისტემოდ იგერიებენ შეტევას. მე-8 წუთზე ბურთს ცენტრიდან მარცხენა გარემარბი ლატკოვი ღებულობს. ის სწრაფად მიიწევს ტფილისის კარისაკენ. მარჯვენა ბეკმა (მცველმა) “გაუშვა” თავდამსხმელი და... ლამაზად გადაცემული ბურთი გრიგორიევმა მიიღო. ის ელვის სისწრაფით არტყამს თავს და ტფილისელები მეორეჯერ იწყებენ თამაშს ცენტრიდან.

2:0 ლენინგრადის სასარგებლოდ.

დარჩენილ 25 წუთში მოხდა გარდატეხა ტფილისის სასარგებლოდ. თავდამსხმელები მონდომებით ეკვეთნენ ლენინგრადის კარს. გარღვევა აიღო პაიჭაძემ. მის გარტყმულ მაღალ ბურთს ვერ მისწვდა მეკარე - ბურთი კარში ჩაიჭრა. უპირატესობა ისევ ტფილისის მხარეზეა. რამდენიმე ნაღდი ბურთი “გააფუჭა” სომოვმა. მე-40 წუთზე ლენინგრადი პენალტით დაჯარიმდა. მ. ბერძენიშვილის მიერ ზუსტად დარტყმული ბურთი კარის მარცხენა კუთხეს არღვევს. ანგარიში 2:2.

მეორე ტაიმში ტფილისი მოდუნებული ტემპით თამაშობს. მაყურებელი ვერ ხედავს მტკიცედ შეკავშირებულ გუნდს. მცველები უტაქტიკოდ და ტექნიკურად სუსტად თამაშობენ. ნახევრად დაცვა ვერ სძლევს თავის ამოცანას - შეაჩეროს მოწინააღმდეგის თავდასხმა. თავდამსხმელებიდან მხოლოდ პაიჭაძისა და მ. ბერძენიშვილის თამაში სჩანს. ისინი კი უმთავრესად “პარტიზანულ” გარღვევებს აწარმოებენ. ლენინგრადელები თავს არ ზოგავენ. თამაშში აქსოვენ მათი შესაძლებლობის მაქსიმუმს. შედეგიც ნათლად სჩანს: მთელი ტაიმის განმავლობაში ბურთი ტფილისის კართან ტრიალებს. შესანიშნავად თამაშობს

დოროხოვი - მან რამდენიმე “მკვდარი” ბურთი აიღო. მე-35 წუთზე ტფილისი დაჯარიმდა. 2? მეტრიდან მძლავრად დარტყმული ბურთი ტფილისის კარშია. ეს იყო მესამე და გადამწყვეტი გოლი.

თამაში დამთავრდა ლენინგრადელების გამარჯვებით. ანგარიში 3:2.

ელკოლი

“მუშა”, 25 ოქტომბერი, 1936 წ.